



**საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA**

ირაკლი ფალავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი: 1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

07 ნოემბერი 2025 წ.



№ 25/9030

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სახის ნილბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის გამო
შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული სანქციების თაობაზე

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12
მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ბატონო ვასილ,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს ადამიანის უფლებების დაცვას ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში^[1] მათ შორის, აპარატი აქტიურად აკვირდება შეკრების თავისუფლებით სრულფასოვნად სარგებლობის კუთხით არსებულ მდგომარეობას.

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს^[2] მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, აპარატისთვის ცნობილია, რომ ბოლო პერიოდში, საერთო სასამართლოები დიდი რაოდენობით საქმეებს განიხილავენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის (შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა) მე-10 ნაწილის საფუძველზე, რომლებიც შეკრების მონაწილეების მიერ სახის დაფარვის შემთხვევებს უკავშირდება.

დასახელებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელებია გათვალისწინებული, მათ შორის, „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“² ქვეპუნქტის დარღვევისთვის, რაც შეკრების მონაწილეებს სახის ნილბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვას უკრძალავს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, აღნიშნული აკრძალვის დარღვევისთვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, ხოლო თუ სამართალდამრღვევი ორგანიზატორია - ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. ამავე კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში (თუ სამართალდამრღვევი არის ორსული ქალი, დედა, რომელსაც ჰყავს 12

წლამდე ასაკის ბავშვი, 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი).^[3] სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო თუ იგი ორგანიზატორია - ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით.

შეკრების მონაწილეებისთვის სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის აკრძალვა „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონს 2024 წლის დეკემბერში დაემატა. მსგავსი უპირობო აკრძალვა სახალხო დამცველმა უკანასკნელ საპარლამენტო ანგარიშში გააკრიტიკა და მისი გაუქმება მოითხოვა.^[4]

საგულისხმოა, რომ დასახელებული აკრძალვის დარღვევაზე პასუხისმგებლობა პერიოდულად გამკაცრდა. თავდაპირველად, შეკრების მონაწილის მიერ სახის დაფარვისთვის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლით გათვალისწინებული იყო ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.^[5] მოგვიანებით, ამ სამართალდარღვევისთვის დადგენილ ჯარიმას დაემატა 7 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის, როგორც ალტერნატიული სახდელის გამოყენების შესაძლებლობა, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.^[6] ნორმის დღეს მოქმედი რედაქცია კი, 2025 წლის 16 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებით ამოქმედდა. ამავდროულად, ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (თავისუფლების აღკვეთა) დაანესდა, მათ შორის, განსახილველი სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განხორციელებაზე.^[7]

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის მე-10 ნაწილის ანალიზისა და საერთო სასამართლოების მიერ მიღებული ცალკეული რეგულაციური დადგენილებების გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ამგვარი საქმეების განხილვისას, სასამართლოს მსჯელობა უნევს შეკრების თავისუფლების მრავალ ასპექტთან დაკავშირებით, რომელიც უფლებით დაცულ სფეროსა და მისი შეზღუდვის ფარგლებს უკავშირდება. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი არაერთი საქმე, შესაძლოა, მომავალშიც გახდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს განხილვის საგანი და შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბება ამჟამად მიღებული გადაწყვეტილებებით ხდება, სათანადო უფლებრივი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობისთვის, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, საქმის განხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ზოგადი მოსაზრება. წინამდებარე სასამართლოს მეგობრის ზოგადი მოსაზრების მიზანს წარმოადგენს შეკრების თავისუფლების დაცვის რეგულაციური გარანტიების განხილვის გზით, გამოკვეთოს ის ძირითადი სამართლებრივი საკითხები, რაც სასამართლოს სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის გამო შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით სანქციონების საქმეების სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

სასამართლოს მეგობრის ზოგადი მოსაზრება არ ემსახურება სასამართლო პროცესში მონაწილე რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს რეგულაციური ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა სტანდარტების იდენტიფიცირებას.

1. სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მიზნებისთვის რეგულაციური უფლებრივი სტანდარტები

1.1. შეკრების თავისუფლებით დაცული სფერო

შეკრების თავისუფლება, როგორც აზრის გავრცელების საშუალება, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია.^[8] მშვიდობიანი შეკრების უფლება ფუნდამენტური შესაძლებლობაა, ინდივიდებმა, მიუხედავად მათი სტატუსისა, გამოხატონ გრძნობები, შეხედულებები^[9] და პროტესტი სხვადასხვა საკითხის მიმართ, გააკრიტიკონ საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებები, წარუდგინონ ალტერნატიული ან/და არაპოპულარული მოსაზრებები და მოახდინონ უმცირესობების თუ მარგინალიზებული ჯგუფების ინტერესების ადვოკატირება.^[10] ამდენად, შეკრება ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების საჯაროდ განხილვას.^[11] ცნობიერების ამაღლების, ცვლილებებისა და რეფორმების პროცესს და წარმოადგენს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას.^[12]

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია შეკრების თავისუფლება და რეგლამენტირებულია წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების შესაძლებლობა.^[13] შეკრების თავისუფლება, როგორც გამოხატვის სპეციალური ფორმა, ინსტრუმენტული უფლებაა, რომელსაც ორი თანაბრად მნიშვნელოვანი ასპექტი გააჩნია: ფორმალური მხარე - რომელიც შეკრებაში გამოიხატება და შინაარსობრივი მხარე - კონკრეტული აზრი, რომელსაც შეკრება ემსახურება.^[14] მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით^[15] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.^[16]

ამდენად, შეკრების თავისუფლების მარეგულირებელი სტანდარტებით, უფლების სუბიექტს მინიჭებული აქვს, მათ შორის, შეკრების შინაარსისა და ფორმის არჩევის საშუალება, რაც შესაძლებელს ხდის, შეკრების მიმდინარეობისას, კონკრეტული აზრის გამოხატვას როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით.^[17] ამ თვალსაზრისით, ხაზი უნდა გაესვას, რომ შეკრების კონსტიტუციურ უფლებად ცნობას მისი შინაარსი და მიზანი განაპირობებს.^[18] სწორედ აღნიშნული წარმოდგენის ბუნებრივ და არსებით კავშირს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის და მიუხედავად იმისა, რომ შეკრების თავისუფლებას ავტონომიური შინაარსი გააჩნია, მას გამოხატვის თავისუფლების გაგრძელებად აქცევს.^[19]

ამგვარად, უფლებრივი დაცვის გარანტიები ვრცელდება შეკრების მონაწილეების მიერ გამოყენებულ გამომხატველობით საშუალებებზე, რომელთა შორის, შესაძლოა, იყოს ტანისამოსი,^[20] აგრეთვე სახის ნიღბები,^[21] ბალაკლავები^[22] და სხვაგვარი აქსესუარები.

საგულისხმოა, რომ შეკრების მონაწილეების მიერ სხვადასხვა საშუალებით სახის დაფარვა, როცა მას გამომხატველობითი ფუნქცია გააჩნია, დაცულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით. აღნიშნულს მოწმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს,^[23] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის,^[24] აგრეთვე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და

ვენეციის კომისიის[25] მიერ გაკეთებული განმარტებები. მართლაც, სახის დაფარვის საშუალებები, შესაძლოა, შეკრების მონაწილეების სათქმელს მათზე ასახული წარწერებისა თუ გამოსახულების ან მათი სხვაგვარი მახასიათებლების მეშვეობით აჟღერებდეს. მეორე მხრივ, ცალკეულ შემთხვევებში, ეროვნული თუ ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, უშუალოდ სახის ნაწილობრივ ან სრულად შენიღბვა შეიძლება გაუტოლდეს პროტესტისა და უკმაყოფილების გამოხატვულ ქმედებას.

დამატებით, ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის მითითებით, სახის დაფარვის საშუალებები, შესაძლოა, გამოიყენებოდეს შეკრების მონაწილეთა ანონიმურობის დასაცავად, ანგარიშსწორების თავიდან აცილების მიზნით, რაც დაცვის ღირსი ინტერესია.^[26] გარდა ამისა, შეკრების მონაწილეების მხრიდან სახის დაფარვას შეიძლება ჰქონდეს წმინდად რელიგიური ან სამედიცინო დატვირთვა.^[27] ყველა ეს შემთხვევა მიუთითებს ისეთ მოცემულობაზე, როდესაც შეკრების მონაწილეები საკუთარ ვინაობას არ ფარავენ, რათა ჩაიდინონ რაიმე ძალადობრივი ქმედება ან არსებითად ხელყონ საზოგადოებრივი წესრიგი და თავიდან აირიდონ შესაბამისი პასუხისმგებლობა.

ამ საკითხის შეკრების თავისუფლების ჭრილში შეფასებისას, ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათის შეკრება ექცევა უფლებით დაცულ სფეროში.^[28] შესაბამისად, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფარგლების განსაზღვრას, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც, შეკრება სცდება უფლებით დაცულ სფეროს და არამშვიდობიანად მიიჩნევა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებული შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები,^[29] ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა,^[30] მიუთითებს, რომ შეკრება მშვიდობიანად უნდა ჩაითვალოს, თუ მისმა ორგანიზატორებმა მშვიდობიანი ზრახვები გააჟღერეს და აქციის მონაწილეთა ქცევა არაძალადობრივია.

ტერმინი „მშვიდობიანი“ იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მოიცვას ქმედებები, რომლებიც, შესაძლოა, ვინმეს ალიზიანებდეს ან შეურაცხყოფდეს, აგრეთვე დროებით აფერხებდეს ან ხელს უშლიდეს მესამე პირთა აქტივობებს.^[31] როგორც წესი, ყოველთვის მოქმედებს შეკრების მშვიდობიანი ხასიათის პრეზუმპცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა აშკარა და ხილული მტკიცებულება, რომ ორგანიზატორები ან მონაწილეები ძალადობის მყისიერ გამოყენებას ან ძალადობისკენ მოწოდებას აპირებენ.^[32] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ძალადობა“ გულისხმობს შეკრების მონაწილეთა მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენებას, რომლის შედეგადაც, მოსალოდნელია გარდაცვალება, ჯანმრთელობის^[33] ან საკუთრების სერიოზული დამიანება.^[34]

ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეკრება ან მისი მონაწილეების ქცევა ეწინააღმდეგება კანონმდებლობის ფორმალურ მოთხოვნებს, თუმცა არის სრულიად არაძალადობრივი, ის მაინც შეიძლება ჩაითვალოს მშვიდობიანად.^[35] მაგალითად, შეკრების მონაწილის მიერ სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა, როდესაც მისი ქცევა არაძალადობრივია და მიზნად არ ისახავს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენას, უფლებრივი სტანდარტის შესაბამისად, სრულად აკმაყოფილებს „მშვიდობიანობის“ კრიტერიუმს.

თავის მხრივ, შეკრების მშვიდობიანი ხასიათი წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მის გამართვას. ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი არ შეუშალონ შეკრების ორგანიზებასა და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას (ნეგატიური ვალდებულება).^[36] შესაბამისად, დაუძლეველი მიზეზის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია მშვიდობიანი შეკრების შეზღუდვა, აკრძალვა ან შეწყვეტა, აგრეთვე ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე, ასეთი შეკრების მონაწილეთა თუ ორგანიზატორთა სანქცირება.^[37]

1.2. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის საფუძვლები და ფარგლები

მიუხედავად შეკრების თავისუფლების მნიშვნელობისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ეროვნული კანონმდებლობით, უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.^[38] უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობებია განვირეილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში^[39] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტშიც.^[40]

ამდენად, უფლებაში ჩარევის კანონიერება მოწმდება შემდეგი სამ-საფეხურიანი ტესტის შესაბამისად: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის დაცვას; და 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოცემულ შემთხვევაში, უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის მართლზომიერ საფუძველს იძლევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლის მე-10 ნაწილი, რომელიც, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე მითითებით, სამართალდარღვევად განსაზღვრავს შეკრების მონაწილეების სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვას. ხსენებული ნორმები, ერთი შეხედვით, ფართო და უპირობო, ბლანკეტურ აკრძალვას ანეხებენ და ამდენად, მნიშვნელოვნად ამცირებენ შეკრების შინაარსისა და ფორმის არჩევის შესაძლებლობას.

მიუხედავად ამისა, გემოალნიშნული ნორმის აღსრულებისას, საყურადღებოა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტების იერარქია, რომელიც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, უპირატეს იურიდიულ ძალას ანიჭებს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების, მათ შორის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიმართ.^[41] ამგვარი ურთიერთმიმართების

გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, კოდექსის განსახილველი ნორმა, მასში ჩამოყალიბებული აკრძალვის ფართო ფორმულირების გათვალისწინებით, განიმარტოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მექანიზმები და მათ შესაბამისად, რათა არ მოხდეს სამართლებრივი საფუძვლის იმგვარი შეფარდება, რაც წინააღმდეგობაში მოვა უპირატესი ძალის მქონე ნორმატიულ აქტთან.

საკულისხმოა ისიც, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ნორმების გამოყენებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები ამ კონვენციის ნორმების ოფიციალურ განმარტებებზე მიიჩნევა და აღნიშნული ნორმების გამოყენებულს შეუძლია ამ განმარტებებს დაეყრდნოს.^[42] რაც შეეხება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, მისგან მომდინარე ვალდებულებებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი განმარტავს ზოგადი კომენტარებით.^[43]

სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის გამო შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით დაკავების მართლზომიერების შეფასების ძირითადი სირთულე დაკავშირებულია იმ საკითხის გადანყვეტასთან, თუ რამდენად აკმაყოფილებს უფლებებში ჩარევის ასეთი ზომა აუცილებლობის მოთხოვნას. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში განხილულია შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი მხოლოდ ის სამართლებრივი სტანდარტები, რაც მხედველობაში მიიღება შეკრების ზემოხსენებული ტესტის მესამე საფეხურის შემოწმებისას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩარევა იმ შემთხვევაში ჩაითვლება „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, თუ იგი პასუხობს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“, თანაბრად იმ ლეგიტიმური მიზნის, რომლის მისაღწევადაც გამოიყენება და სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოდგენილია „შესატყვისი და საკმარისი“ საფუძვლები.^[44] ამგვარი შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები, დაამყარეს თუ არა პასუხისმგებელმა უწყებებმა გადანყვეტილება რელევანტური ფაქტების შეფასებას მისაღები ხარისხით.

ის გარემოება, რომ აუცილებლობის ცნება დაკავშირებულია „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებასთან“, მიანიშნებს, რომ მას არ აქვს იმგვარი მოქნილობა, როგორიც დამახასიათებელია სიტყვებისთვის - „გამოსადეგი“ და „სასურველი“.^[45] შესაბამისად, იმის მიუხედავად, რომ შეკრების მონაწილეების ქცევა ფორმალურად წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნასთან, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ პირის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ცნობა აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის, მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სახის დაფარვის გამო სოლო დემონსტრანტის ადმინისტრაციულ საქციერებასთან დაკავშირებით მსჯელობა მოუწია 2022 წლის გადანყვეტილებაში საქმეზე *Ibragimova v. Russia*. მოცემულ საქმეში მომჩივანს ადმინისტრაციული ჯარიმა შეეფარდა საჯარო ღონისძიებაზე სახის დაფარვის გამო - მას თავზე ეხურა ფერადი ბალაკლავა (თვალეზამოჭრილი, ნიკაპამდე ჩამოსული ნაქსოვი ქუდი) პანკ ჯგუფის „Pussy Riot“ გამოსვლებისთვის დამახასიათებელ სტილში.^[46] ამ შესტით, იგი მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ამ მუსიკოსების მხარდაჭერას, არამედ რუსეთში პროტესტის კულტურის ნაკლებობისა და გამოხატვის თავისუფლების რთული მდგომარეობის მიმართ უკმაყოფილების დაფიქსირებას.^[47] სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მისი ქმედება სიმბოლურ გამოხატვად მიიჩნია.^[48] რაც შეეხება მისი შემლუდვის მართლზომიერებას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ მომჩივანის სოლო დემონსტრაცია იყო სრულად მშვიდობიანი; მას არ ჰქონდა საკუთარი ვინაობის დაფარვის მიზანი (არ იკვეთებოდა, რომ მან საკუთარი პიროვნების იდენტიფიცირებაზე უარი განაცხადა პოლიციის მოთხოვნის საფუძველზე ან სხვაგვარად); აგრეთვე, არ დგინდებოდა, რომ სადავო საპროტესტო ქმედებით დაირღვა საჯარო წესრიგი ან სხვათა უფლებები.^[49] რამდენადაც ეროვნულ სასამართლოებს, საქმის განხილვისას, მსგავსი ინდივიდუალური გარემოებები არ გათვალისწინებიათ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა მათი მხრიდან კანონმდებლობაში ასახული ბლანკეტური აკრძალვის ავტომატური შეფარდება, რაც კონვენციასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა.^[50] მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მომჩივანის მიმართ ადმინისტრაციული სახელის სახედ გამოყენებული იყო ფულადი ჯარიმა და არა უფრო მძიმე მმლუდავი ზომა, სასამართლომ ასევე მიუთითა მსუსხავ ეფექტზე, რაც ამას პროტესტის გამოხატვაზე ახლდა.^[51] შედეგად, საქმეში უფლებადარღვევა დადგინდა.

დასახელებულ საქმეში ხაზი გაესვა იმასაც, რომ რუსეთში არ არსებობდა საჯარო სივრცეში სახის დაფარვის ზოგადი აკრძალვა და იგი მხოლოდ საჯარო ღონისძიებებს შეეხებოდა. ამით, წინამდებარე საქმე განსხვავდებოდა, მაგალითად, 2014 წლის გადანყვეტილებისგან საქმეზე *S.A.S. v. France*,^[52] სადაც სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია საჯარო სივრცეებში იმგვარი სამოსის ტარების აკრძალვა, რომელიც გამომწვევითაა სახის დასაფარად. ხსენებულ საქმეში მომჩივანი იყო მუსლიმი ქალი, რომელიც ბურქასა და ნიქაბს ატარებდა.^[53]

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებისთვის მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2025 წლის საქმეშიც *Russ v. Germany*, რომელშიც დარღვევა დადგინდა სახის ფარის ტარების გამო შეკრების მონაწილის საქციერების შედეგად. ამ შემთხვევაში, მომჩივანი მონაწილეობას იღებდა ევროპის ცენტრალური ბანკის შტაბ-ბინასთან გამართულ ერთ-ერთ შეკრებაში, რომელიც მოიცავდა მშვიდობიან ბლოკადებს.^[54] დაახლოებით სამი საათის განმავლობაში, მას ეკეთა გამჭვირვალე პლასტმასის ფარი იმგვარად, რომ იგი ფარავდა შუბლსა და თვალებს.^[55] საყურადღებოა, რომ შეკრების ლოკაციაზე შეიკრიბნენ სხვა ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც ძალადობრივ ქმედებებში ჩაერთნენ.^[56] მომჩივანს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და შეეფარდა ჯარიმა საჯარო შეკრებაზე დამცავი იარაღის ტარებისთვის.^[57]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ცალკეულ პირთა ან პირთა მცირე ჯგუფების ძალადობრივი ქმედებები არ აბათილებს იმ ადამიანთა შეკრების თავისუფლებას, რომლებიც მშვიდობიან ქცევას განაგრძობენ - თავის მხრივ, ხელისუფლებამ ვერ დაადასტურა, რომ მომჩივანი ან ის კონკრეტული შეკრება, რომელშიც იგი მონაწილეობდა არ იყო მშვიდობიანი.^[58] ამავდროულად,

სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მომჩივანის სანქციებისას, ეროვნულ სასამართლოებს, მათ შორის, არ შეუფასებიათ, უქმნიდა თუ არა მისი სახის ფარი საფრთხეს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას; ან გამოხატავდა თუ არა იგი ძალადობის გამოყენების აშკარა მზადყოფნას მსგავსი საშუალების ტარებით. [59] გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ, მართალია, გარკვეული საშუალებები, შესაძლოა, მართლაც უქმნიდეს საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, თუმცა მარტივი კონსტრუქციები, რომლებსაც სადავო სახის ფარი განეკუთვნებოდა, განსაკუთრებულ მსჯელობას საჭიროებდა. [60]

რაც შეეხება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებას შეკრების მონაწილეების მხრიდან სახის დაფარვასთან დაკავშირებით, №37 ზოგად კომენტარში (2020) აღნიშნულია, რომ მათი ანონიმურობა დამცველი უნდა იყოს, თუ დემონსტრანტთა ქმედებები არ ქმნის მათი დაკავების გონივრულ საფუძველს. [61] ამასთან, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ თავისთავად სახის დაფარვა არ შეიძლება ჩაითვალოს ძალადობრივი მიზნების ქონად. [62]

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი განმარტებები გაკეთებული ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებულ შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპებშიც. კერძოდ, სახელმძღვანელოს თანახმად, მშვიდობიანი შეკრების მიმდინარეობისას, ნიღბებისა და სახის დაფარვის სხვა საშუალებების ტარების აკრძალვა არ უნდა დაწესდეს, როდესაც არ არსებობს ძალადობის მყისიერი საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები. [63] ამასთან, პირს არ უნდა ეთხოვოს ნიღბის მოხსნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქცევა ქმნის დაკავების სავარაუდო საფუძველს და სახის დაფარვა შეუძლებელს ხდის მის იდენტიფიცირებას. [64]

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR) შეკრების მონაწილეების მიერ სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის თაობაზე უშუალოდ ქართულ კანონმდებლობაში ასახული აკრძალვა 2025 წლის 6 მარტის დასკვნით გააკრიტიკა და მასში უცვლელი სახით გაიმეორა გემოხსენებული სტანდარტები. [65]

უფლებებში ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად, მხედველობაში მიიღება დაკისრებული სანქციის ბუნება და სიმძიმე. [66] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, როდესაც შეკრების მონაწილისთვის დაკისრებულ სანქციას აქვს სისხლისსამართლებრივი ბუნება, ის განსაკუთრებული სახის გამართლებას მოითხოვს, რამდენადაც მშვიდობიანი შეკრება არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, განსაკუთრებით კი, თავისუფლების აღკვეთის საფრთხეს. [67] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის განმარტებით, სანქციები მცირე მნიშვნელობის გადაცდომებისთვის, რაც მნიშვნელოვნად არ აზიანებს საჯარო წესრიგს ან სხვათა უფლებებს, უნდა იყოს დაბალი. [68] ამასთან, საქმეებში, რომლებიც ასეთი სახის ადმინისტრაციულ გადაცდომებს შეეხება, შესაძლოა, გაუმართლებელი იყოს რაიმე სანქციის შეფარდება შეკრების მონაწილეებისა და ორგანიზატორებისთვის. [69]

ამდენად, იმისთვის, რომ სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის გამო შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული სანქციების შემთხვევები უფლებრივ სტანდარტებთან შესაბამისად გადაწყდეს, საჭიროა, თბილისის საქალაქო სასამართლომ მხედველობაში მიიღოს თითოეული ასეთი საქმის ინდივიდუალური გარემოებები, მათ შორის, სავარაუდო სამართალდამრღვევის მიერ სახის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზანი, მისი ქცევის ბუნება და სიმძიმე, ასევე სადავო ქმედების შედეგად შემხვედრი ლეგიტიმური ინტერესის დაზიანების ფაქტი და მისი ხარისხი. ამავდროულად, მსგავსი საქმეების გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია, სასამართლომ გაითვალისწინოს, რომ სადავო ქმედებისთვის სახელდასმელი პირის მიერ მომავალში იმავე ქმედების განხორციელებისთვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (თავისუფლების აღკვეთა), რასაც, შესაძლოა, სერიოზული მსუსხავი ეფექტი ჰქონდეს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სრულფასოვნად სარგებლობაზე.

2. დასკვნა

ამდენად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მოგმართავთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ზოგადი მოსაზრებით. სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვის გამო შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული სანქციების მართლზომიერების შეფასებისას, მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნას წინამდებარე მომართვაში ასახული პრინციპები.

პატივისცემით,

[1] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2.

[2] იხ. მაგ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 21 და 22 ოქტომბრის განცხადებები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/47KZyPa >, < bit.ly/479ZhFm > [27.10.2025].

[3] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალს, დედას, რომელსაც ჰყავს 12 წლამდე ასაკის ბავშვი, 18 წლის ასაკს მიუღწევალ პირს, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შემზღუდელი შესაძლებლობის მქონე პირს“.

[4] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 183 და გვ. 186, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/49gvaxe > [23.10.2025].

[5] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 174¹, ნაწილი 5 (2024 წლის 13 დეკემბრის რედაქცია).

[6] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 174¹, ნაწილი 7 (2025 წლის 6 თებერვლის რედაქცია).

[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 347.

[8] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Djavit An v. Turkey, განაცხადის №20652/92, 20.02.2003, §56.

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის № 1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ.1.

[10] ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), შეკრების თავისუფლების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 7, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3bQA9EV > [27.10.2025].

[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის № 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა

პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიმკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პარ. 25.

[12] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), შეკრების თავისუფლების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 7.

[13] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21.

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ.4.

[15] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11.

[16] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 21.

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №15/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე დავით მუჟვანაძე და ილია მაღაშონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 7; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 80; ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლის გზამკვლევი, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, 28 თებერვალი 2025, პარ. 21, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4W4ZQ8 > [27.10.2025]; იხ. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Saska v. Hungary, განაცხადი №58050/08, 27.11.2012, §21.

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 3.

[19] იქვე.

[20] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4ozqLti > [27.10.2025].

[21] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 153, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4o6QOZn > [27.10.2025]; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 60, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/47bfcDt > [27.10.2025].

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Ibragimova v. Russia, განაცხადი №68537/13, 30.08.2022, §21.

[23] იქვე.

[24] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 60.

[25] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 153.

[26] ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №37 მშვიდობიანი შეკრების უფლების შესახებ, 2020, CCPR/C/GC/37, პარ. 60; გაეროს გენერალური ასამბლეა, მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/HRC/26/29, 14 აპრილი 2014, პარ. 32-33, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3JwA4f8 > [27.10.2025].

[27] გაეროს გენერალური ასამბლეა, მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/HRC/26/29, 14 აპრილი 2014, პარ. 33.

[28] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 21; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 46; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 11-20.

[29] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 46.

[30] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kudrevičius and Others v. Lithuania, განაცხადი №37553/05, 15.10.2015, §92. სასამართლოს მითითებით, შეკრების თავისუფლებით არ არის დაცული იმგვარი შეკრებები, რომლის მონაწილეებსაც ძალადობრივი ზრახვები აქვთ, ძალადობისკენ მოუწოდებენ ან სხვაგვარად უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს; 2002 წლის საქმეში Cisse v. France, სასამართლომ განმარტა, რომ პრაქტიკაში მხოლოდ იმგვარი ღონისძიებები არ დაკვალიფიცირებულია „მშვიდობიან შეკრებად“, რომლის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ძალადობა (პარ. 37); იხ. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, განაცხადი №23158/20, 31365/20, 32525/20, 01.09.2022, §79.

[31] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 47.

[32] იქვე, პარ. 46.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Shmorgunov and Others v. Ukraine, განაცხადი №15367/14 და 13 სხვა, 21.01.2021, §491.

[34] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 15.

[35] იქვე, პარ. 48.

[36] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12, პუნქტი 2.

[37] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 23.

[38] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, ნაწილი 3.

[39] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11, ნაწილი 2.

[40] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 21.

[41] „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 7.

[42] „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 7¹.

[43] Rules of procedure of the Human Rights Committee, CCPR/C/3/Rev.12, 4 January 2021, Rule 76.

[44] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Kudrevičius and Others v. Lithuania, განაცხადი №37553/05, 15.10.2015, §143.

[45] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Chassagnou and Others v. France, განაცხადი №25088/94, 28331/95 და 28443/95, 19.04.1999, §112.

[46] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Ibragimova v. Russia, განაცხადი №68537/13, 30.08.2022, §§1-13.

[47] იქვე, §23.

[48] იქვე.

[49] იქვე, §§32-36.

[50] იქვე, §§37-38.

[51] იქვე, §39.

[52] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: S.A.S. v. France, განაცხადი №43835/11, 01.07.2014.

[53] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Ibragimova v. Russia, განაცხადი №68537/13, 30.08.2022, §35.

[54] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Russ v. Germany, განაცხადი №44241/20, 20.05.2025, §5-6.

[55] იქვე, §6.

[56] იქვე, §7.

[57] იქვე, §§8-16.

[58] იქვე, §§36-39.

[59] იქვე, §53.

[60] იქვე.

[61] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 60.

[62] იქვე.

[63] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 153.

[64] იქვე.

[65] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2025 წლის 6 მარტის სასწრაფო დასკვნა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, პარ. 70, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4bJeLkl > [27.10.2025].

[66] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Chkhartishvili v. Georgia, განაცხადის №31349/20, 11.05.2023, §51.

[67] იქვე.

[68] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მესამე გამოცემა, პარ. 222.

[69] იქვე.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხალხმონღილია/
შტამგდასმულია
ელმმტრონულად



ლევან იოსელიანი